საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 611

თბილისი „16" 05 2019 წ.

„„კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „„ორიენტირი" - კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 15 მარტის N302 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „„ორიენტირი" - კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა" გამარჯვებულთა დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 15 მარტის N302 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „„ორიენტირი" - კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა" ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 08 აპრილის N457 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 22 აპრილის N1 ოქმისა და 2019 წლის 30 აპრილის N2 ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 13 მაისის N551262 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „„კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „„ორიენტირი" - კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების

და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 15 მარტის N302 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „„ორიენტირი“ - კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტები:

ა) მ. სთოქთედისა და მ.ვ. ქოთრენის სახელმძღვანელოს "ART HISTORY" გამოცემა ქართულ ენაზე (თავები 18,19,20, XIV-XV საუკუნეების ევროპის ხელოვნება) - სსიპ თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

ბ) ლარილარის სამაროვანი: კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პერსპექტივები - სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი;

გ) კულტურა მედიაში (სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების კრებული) - სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დ) ინტერკულტურული, ინტერლინგვალური და ინტერმედიალური შემოქმედების როლი კულტურის პოლიტიკის ფორმირებაში (მასტერკლასი "ვკითხულობთ გივი მარგველაშვილს")- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

ე) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში"- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 14 მაისი.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი